



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

4.21.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება (კონცენტრაციები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) (ინგლისურენოვანი) Business Administration (Finance, Marketing, Management, Accounting) (delivered in English)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი Bachelor of Business Administration
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო)	ახალი

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	
--	--

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ხოხობაია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე, კომპანია იმედი L, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შესაფასებლად წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 0413) 240 ECTS კრედიტს მოიცავს.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს: „ძირითადი სწავლის სფეროს“ სასწავლო კურსები (158 კრედიტი); ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები - 128/123 კრედიტი; კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი; კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები (82 კრედიტი); საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 62 კრედიტი; საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 5/10 კრედიტი; თავისუფალი კრედიტები - 15 კრედიტი.

შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა აკრედიტაციისთვის წარმოდგენილია პირველად, თუმცა უსდ-ში ფუნქციონირებს ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი პროგრამა. ამიტომ აკრედიტაციის ექსპერტებმა მხედველობაში მიიღეს ქართულენოვან პროგრამაში და ზოგადად უსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფუნქციონირების შედეგებიც.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის საშუალებით, 2021 წლის 6-7 აპრილს. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დააორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს.

დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ვიზიტის განმავლობაში უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ დისტანციური რეჟიმის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 2.1, 2.5, 3.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.2, 5.3 შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო 1.2, 2.2, 2.3, 2.4, 2.6, 4.1, 5.1 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

▪ **რეკომენდაციები**

1. რეკომენდირებულია მეხუთე და მეექვსე პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირებისასა მოხდეს მათ შორის შინაარსის მკაფიოდ გამოიჯვანა;
2. ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებულ იქნას საგნის სპეციფიკა;
3. რეკომენდირებულია პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგების მიზნით შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ადეკვატური განსაზღვრა, კერძოდ მიგვაჩნია, რომ მაკროეკონომიკის საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს მიკროეკონომიკა, ბიზნესის გეგმის განვითარების წინაპირობა არის დასაზუსტებელი, ბრენდის მართვის, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის წინაპირობად განისაზღვროს მარკეტინგის საფუძვლები.
4. რეკომენდირებულია მოხდეს გამოყენებული ლიტერატურის განახლება.

5. რეკომენდირებულია პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მოდიფიცირება მასში კონცენტრაციების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) მახასიათებლების ასახვით.
6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და ქულების ჯამი.
7. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში.
8. რეკომენდირებულია გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებულ იქნას აქტიური ზმნები გაზომვის მიზნით;
- სასურველია პროგრამამ სტუდენტებს შესთავაზოს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსის სახით.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო ინგლისურენოვან პროგრამაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მიზნები, კერძოდ პროგრამის მიზნებია სტუდენტს მისცეს როგორც ფართო თეორიული ცოდნა და ასევე გამოუმუშავოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაზისო, ასევე ერთ-ერთ ფუნქციურ მიმართულებებში, როგორცაა ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, და საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; განუვითაროს სხვადასხვა დონის მენეჯერული რგოლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მოამზადოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კომპანიებში შესაბამისი (ფინანსისტის, მარკეტერის, ბუღალტერ-აუდიტორის და ა.შ.) ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის; განუვითაროს სამეწარმეო უნარები. პროგრამის მიზნები რეალისტურია და მიღწევადია. კერძოდ, კავკასიის უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ადამიანური და ფიზიკური რესურსები პროგრამით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

პროგრამის შემუშავებას წინ უსწრებდა შრომის ბაზრის კვლევა. შრომის ბაზრის კვლევის ანგარისში ვკითხულობთ, „ბოლო წლებში, სკოლა და უნივერსიტეტი ხედავს მნიშვნელოვნად გაზრდილ ინტერესს პარტნიორი უნივერსიტეტებიდან სტუდენტების მობილობის თვალსაზრისით. ასევე იზრდება ხარისხის მაძიებელი აპლიკანტების რაოდენობაც. წელიწადში 80-ამდე საერთაშორისო აპლიკანტი გამოხატავს ინტერესს ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის მიმართ, ხოლო 40-50 სამაგისტრო პროგრამის მიმართ“. ყოველივე აღნიშნული პროგრამების გარკვეული საგნების ინგლისურ ენაზე ჩატარების საჭიროებას ქმნის, რამაც გააჩინა სკოლის ინტერნაციონალიზაციის საშუალება და ინგლისურენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შექმნის საფუძველი ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით“. გარდა ამისა, კავკასიის უნივერსიტეტმა ოთხ უნივერსიტეტთან ერთად სოციალურ მეცნიერებათა ცენტრს დაუკვეთა შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც განხორციელდა 2019 წლის იანვარ-ივნისში. გამოიკითხა 1176 სუბიექტი. ანგარიშიდან ირკვევა, რომ არსებობს მზარდი მოთხოვნა ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებულებზე, ასევე ანგარისში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციების 74%-სთვის მნიშვნელოვანია რომ მისმა პოტენციურმა დასაქმებულმა სამუშაო დონეზე იცოდეს ინგლისური ენა.

ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის მმართველმა გუნდმა აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დანერგვა ძირითადად ფოკუსირებულია უცხოელი სტუდენტების მოზიდვაზე. ისინი უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებებს რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლებთან უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით.

<p>უნივერსიტეტს სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით ინტერნაციონალიზაციას მიჩნეულია ერთ-ერთ პრიორიტეტად და შესაბამისად ინტერნაციონალიზაციის პროცესის აქტივობები დაგეგმილია როგორც უნივერსიტეტის დონეზე, ასევე ბიზნესის სკოლის დონეზე.</p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კავკასიის უნივერსიტეტის მისია; ○ სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა; ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა ○ შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.cu.edu.ge
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <p>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</p>

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა პროგრამის სწავლის შედეგები, რომელიც მოიცავს ცოდნას, უნარს და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. პროგრამაში 7 სწავლის შედეგია ფორმულირებული. პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით, კერძოდ სწავლის შედეგები მისი შინაარსიდან გამომდინარე სტუდენტის შესაძლებლობებს პასუხობს და განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები. პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადია, რეალისტურია და შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

თუმცა, ვფიქრობთ, რომ სწავლის შედეგი (PLO5) „განახორციელოს ეფექტური წერილობითი და სიტყვიერი კომუნიკაცია ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო გარემოში“, და სწავლის შედეგი (PLO6) „განახორციელოს კომუნიკაცია უცხო ენაზე, როგორც ბიზნეს, ასევე ზოგადი თემების ირგვლივ“, შინაარსობრივად მსგავსია და საჭიროებს დახვეწას და მეტ სიცხადეს.

ამას გარდა, ზოგიერთ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირება მოითხოვს მეტ დაკონკრეტებას და სიცხადეს. კერძოდ სასწავლო კურსის „ბიზნეს სტატისტიკა“ სილაბუსში სწავლის შედეგები შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „თეორიის პრაქტიკაში გამოყენების უნარები; სფეროს გააზრება და გაგება; მეორე (უცხო) ენაზე; კომუნიკაციისთვის საჭირო უნარები; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისათვის საჭირო უნარები; კვლევის ჩასატარებლად საჭირო უნარები; პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის საჭირო უნარები; დამოუკიდებელი სამუშაო უნარები“. სწავლის შედეგების აღნიშნული ფორმულირება საჭიროებს მეტ სიცხადეს და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებას.

ასევე, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლის შედეგები არის შემდეგნაირად ფორმულირებული: „CSR პრინციპების სწავლა და გაგება; ცოდნა რეალობაში / პრაქტიკაში ასახვა; სოციალურად პასუხისმგებელისა და ბიზნესის ეთიკის შეგრძნება“. ვფიქრობთ სწავლის შედეგების ამგვარი ფორმულირება საჭიროებს დახვეწას გაზომვადობისა და სპეციფიურობის კუთხით.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შემუშავებულია სწავლის შედეგების მექანიზმი, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების რუკას, სწავლის შედეგების ინდიკატორებს და სამიზნე ნიშნულებს.

სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება შემდეგი სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით: მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამაში მითითებული ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები 4 წლიანი ციკლის განმავლობაში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდის ინსტრუმენტებია: პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა; პროგრამის

<p>დასრულების მაჩვენებელი; პროგრამაზე მობილობის მაჩვენებელი; დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კუსრდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები (როგორც ელექტრონული, ისე „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით). აღნიშნულ ინსტრუმენტებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება შემდგომი განვითარების ეტაპები.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულ იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნები და შეესაბამება კუსრდამთავრებულთა პროფესიის დასაქმებულთა სფეროების მოთხოვნებს. კერძოდ, კუსრდამთავრებულს მიღებული ცოდნით და გამოიმუშავებული კომპეტენციებით შეუძლია დასაქმედდეს „მარკეტინგის/საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის/ და სხვა მარკეტინგის მიმართულების დეპარტამენტებში, სარეკლამო სააგენტოში, მარკეტინგული კვლევის ორგანიზაციაში, საკონსულტაციო სექტორში, ნებისმიერი კომპანიის საბუღალტრო განყოფილებაში, აუდიტორულ კომპანიებში, საჯარო დაწესებულებებში - ბუღალტერია, შიდა აუდიტი, მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები; საბანკო სექტორი; არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები; სამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციებში სხვადასხვა საწყისი და საშუალო დონის პოზიციებზე.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკლავრო პროგრამა; ○ პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ○ სამიზნე ნიშნულები ○ ინტრვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდირებულია მეხუთე და მეექვსე პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირებისასა მოხდეს მათ შორის შინაარსის მკაფიოდ გამოიჯვანა; • ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებულ იქნას საგნის სპეციფიკა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებულ იქნას აქტიური ზმნები გაზომვის მიზნით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე და ცნობარში. პროგრამაზე მიღების ზემოაღნიშნული პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. კერძოდ, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე.</p> <p>უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილი პირი ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე (IELTS-6.0; TOEFL-78; B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი) ან აბარებს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებულ B2 დონის შესაბამის გამოცდას.</p> <p>პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა; ○ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი: https://www.cu.edu.ge/ka
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
○
შეფასება
<p>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
<p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესის (დამტკიცებულია: ბრ.#07/01-27 14/09/2019) მიხედვით. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს: „ძირითადი სწავლის სფეროს” სასწავლო კურსები (158 კრედიტი); ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები - 128/123 კრედიტი; კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი; კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები (82 კრედიტი); საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 62 კრედიტი; საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 5/10 კრედიტი; თავისუფალი კრედიტები - 15 კრედიტი. პროგრამის სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს; თუმცა, პროგრამა, მასში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგების მიზნით მოითხოვს შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ადეკვატურ განსაზღვრას, კერძოდ მიგვაჩნია, რომ მაკროეკონომიკის საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს მიკროეკონომიკა, ბიზნესის გეგმის განვითარების წინაპირობა არის დასაზუსტებელი, ბრენდის მართვის, ინტეგრირებული მაკრტიგული კომუნიკაციის წინაპირობად განისაზღვროს მარკეტინგის საფუძვლები.</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.</p>

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ○ კურიკულუმის რუკა; ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი: https://www.cu.edu.ge/ka ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდირებულია პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგების მიზნით შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ადეკვატურ განსაზღვრა. კერძოდ მიგვაჩნია, რომ მაკროეკონომიკის საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს მიკროეკონომიკა, ბიზნესის გეგმის განვითარების წინაპირობა არის დასაზუსტებელი, ბრენდის მართვის, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის წინაპირობად განისაზღვროს მარკეტინგის საფუძვლები.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <p>➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</p>
--

➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები გამომდინარეობს ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებიდან, რაც აღწერილია სწავლის შედეგების რუკაში. სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება მასში აღწერილ სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურს. სასწავლო ლიტერატურის და თემატიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნული სასწავლო კურსის გავლის შემდგომ მოსალოდნელი სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, თუმცა შედეგების ფორმულირება საჭიროებს გადამუშავებას.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსს, ასათვისებელი მასალის მოცულობას, სირთულესა და სწავლის შედეგებს;

სასწავლო კურსები მოიცავს საკონტაქტო (ლექცია, ჯგუფში მუშაობა, გამოცდა) და დამოუკიდებელ საათებს, რომელთა შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება, თუმცა სასწავლო კურსების სასწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება დაფიქსირებულია 2.6 კომპონენტში.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და წარმოადგენს სფეროსათვის აქტუალურ, რელევანტურ და ბიზნესის მიმდინარე თანამედროვე გამოწვევებისა და მიღწევების ამსახველ მასალას. თუმცა, ბიზნესის ადმინისტრაციის ინგლისურენოვანი პროგრამისათვის ზოგიერთ საგნის სწავლება მიმდინარეობს მომველებული ლიტერატურით, კერძოდ: ბიზნეს კომუნიკაცია (გამოყენებული ლიტერატურა 2006 და 2014 წლის); ბიზნეს გეგმის განვითარება (გამოყენებული ლიტერატურა: 2009, 2010, 1980 წლის, ფინანსური ინსტიტუტების მართვა (გამოყენებული ლიტერატურა 2013 წლის); ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები (გამოყენებული ლიტერატურა 2014 წლის); ფინანსური ანგარიშგება (გამოყენებული ლიტერატურა 2014 წლის), კრეატიული კონტენტ მარკეტინგი (გამოყენებული ლიტერატურა 2009 წლის); სამომხარებლო ქცევის, მეწარმეობის, ფინანსური აღრიცხვის, ოპერაციათა მენეჯმენტის, გაყიდვების მენეჯმენტის სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულ ლიტერატურას არ აქვს მითითებული წელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> რეკომენდირებულია მოხდეს გამოყენებული ლიტერატურის განახლება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისთვის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.</p> <p>პროგრამაში შემოთავაზებულია პრაქტიკის შერეული მოდელი, რაც გულისხმობს თეორიულ კურსებში ჩაშენებულ პრაქტიკულ დავალებებს, რომელთა შესრულების დროს სტუდენტს უვითარდება დარგობრივი პრაქტიკული უნარები, ამ მხრივ აღსანიშნავია სასწავლო კურსი „ბიზნესის გეგმის განვითარება/Business Plan Developemnt“, რომლის მიზანია სტუდენტმა შეძლოს პირველი შვიდი სემესტრის მანძილზე მიღებული ცოდნის გაერთიანება და პრაქტიკაში გამოყენება. განივითაროს საკუთარი ბიზნესის წამოწყებისათვის საჭირო უნარები, საფუძვლიანად გაეცნოს მეწარმეობის ძირითად პრინციპებსა და კონცეფციებს, რის შემდეგაც მოამზადოს ბიზნეს გეგმა მცირე, საშუალო თუ მსხვილი საწარმოსთვის, მომგებიანი თუ არამომგებიანი ორგანიზაციისთვის და სხვა. კურსის ფარგლებში სტუდენტი შეიმუშავებს ბიზნეს გეგმას, რომელიც მოიცავს მარკეტინგის, ფინანსებისა და მენეჯმენტის ნაწილებს.</p> <p>კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი</p>

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი მოიაზრებს დამოუკიდებელ პრაქტიკის კომპონენტსაც (5 ECTS), რომელიც არჩევითი სახით შეთავაზებულია ოთხ ძირითად კონცენტრაციაში: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა, აღნიშნული კომპონენტის არჩევა სტუდენტს შეუძლია ყველა სავალდებულო სასწავლო კურსის გავლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის კომპონენტი მეტწილად ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პრაქტიკის სილაბუსი აყალიბებს ზოგად სწავლის შედეგებს და აქცენტს არ აკეთებს კონცენტრაციის დარგობრივ მახასიათებლებზე. მაგალითად, პრაქტიკული კომპონენტის გავლის შემდეგ სტუდენტს აქვს: პროფესიულ გარემოში მუშაობის პროცესის ცოდნა; პროფესიულ გარემოში ადაპტაციის უნარი; პრაქტიკული სამუშაოს დათქმულ ვადაში შესრულების უნარი; გუნდში პასუხისმგებლობით მუშაობის უნარი; ახალი კონტაქტების დამყარებისა და განვითარების უნარი. შესაბამისად, **რეკომენდებულია**, პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მოდიფიცირება და მასში კონცენტრაციების მახასიათებლების ასახვა.

პრაქტიკის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას პრაქტიკის ობიექტის პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით. პრაქტიკის შეფასება კი მოიცავს შუალედური და დასკვნით შეფასებების ჯამს. ამასთან, დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

გარდა პრაქტიკის კომპონენტისა, საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებულია სხვადასხვა დარგის სასწავლო კურსები: საქართველოს ისტორია, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია, სოციოლოგიის შესავალი, პოლიტიკური მეცნიერების შესავალი, ფსიქოლოგიის შესავალი და ფილოსოფიის შესავალი, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტი გამოიმუშავებს ტრანსფერულ უნარებს. თუმცა მეტი კვლევითი უნარების განვითარებისთვის **სასურველია** პროგრამამ სტუდენტებს შესთავაზოს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსის სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;

<ul style="list-style-type: none"> ○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ○ ინტერვიუს შედეგები. ○
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდირებულია პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მოდიფიცირება მასში კონცენტრაციების (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა) მახასიათებლების ასახვით.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია პროგრამამ სტუდენტებს შესთავაზოს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსის სახით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამოიყენება პროგრამის პროფილის შესაბამისი სწავლება/სწავლის მეთოდები ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა-</p>

განმარტებითი მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი, გონებრივი იერიშის (Brain storming) მეთოდი, სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის და სინთეზის მეთოდი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი);
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით.

სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია, როგორც შუალედური, ასევე დასკვნითი სახის შეფასებები. სასწავლო კურსის სილაბუსებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. უნდა აღინიშნოს, რომ რიგ სასწავლო კურსებში შეფასების ქულათა ჯამი და აქტივობის შესახებ დეტალიზებული ჩაშლა ქულების გრადაციის მიხედვით არ არის დაკონკრეტებული (მარკეტინგ მენეჯმენტი, ფინანსური დაგეგმარება და ბიუჯეტირება და ა.შ). აღნიშნული პროცესში დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სასწავლო კურსების სპეციფიკა და მიზანი. სილაბუსების კონტექსტში საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული გარკვეული ხარვეზების გამოსწორების მიზნით სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერი მექანიზმის გაძლიერება. როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ პროგრამაში უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება.

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის დებულებაში „გამოცდების ჩატარების წესის შესახებ“ დეტალურადაა გაწერილი თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტი რომ დაიშვას გამოცდაზე, რა წესები მოქმედებს გამოცდის მსვლელობისას და რა შემთხვევაში ითვლება კრედიტი ჩათვლილად. „შუალედური/დასკვნითი საგამოცდო ნაშრომი არის ანონიმური. გამოცდის დასრულების შემდეგ, დეპარტამენტის მიერ საგამოცდო ნაშრომი იშიფრება და გადაეცემა ლექტორს შესამოწმებლად“. გამოცდების შესახებ სტუდენტებს ეცნობებათ არაუგვიანეს 7 კალენდარული დღით ადრე ელექტრონულ ბაზაში სტუდენტის პირად გვერდზე თასვდება ინფორმაცია.

„სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შპს კავკასიის უნივერსიტეტის დებულება „გამოცდების ჩატარების წესის შესახებ“
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები და ქულების ჯამი.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>○</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, კავკასიის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პერსონალთან და ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც დამატებით მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთან, გასაუბრების პროცესში ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ, მეტიც როგორც უნივერსიტეტში, ისე ელექტრონულ რეჟიმშიც აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას.

კავკასიის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები და შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან. ასევე, უნივერსიტეტი აქტიურად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ და ეხმარება პარტნიორ დამსაქმებლებთან სტაჟირების გავლის პროცესში. აგრეთვე, უნივერსიტეტის სტუდენტური ღონისძიებებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობების სამსახური აქტიურად გეგმავს და ახორციელებს საჯარო ლექციებსა და კურიკულუმს მიღმა სხვა აქტივობებს.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ეტაპობრივად თავსდება ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, ღონისძიებებისა და კვლევების შესახებ, უნივერსიტეტის მხრიდან კი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური

ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებს აქვთ სათანადო ფინანსური ხელშეწყობა საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. კავკასიის უნივერსიტეტის რექტორმა და ბიზნესის სკოლის ადმინისტრაციამ აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვისაც შექმნის სათანადო პირობებს, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროექტებში და ასევე ERASMUS+ ისა და უნივერსიტეტის გაცვლითი სტიპენდიებით ისარგებლონ ინდივიდუალური საერთაშორისო მობილობით.

უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ. ასევე, სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს მონაწილეობენ ხარისხის სამსახურის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში.

სტუდენტებისთვის დაწესებულია სტიპენდიები, რომელთა მოპოვებაც დამოკიდებულია სტუდენტის აკადემიურ მოსწრებასა და კურიკულუმს მიღმა განხორციელებულ აქტივობებზე. ამასთან, სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს პროექტების დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ მოიპოვონ დაფინანსება სხვადასხვა სოციალური თუ შემეცნებითი პროექტის განსახორციელებლად.

მთლიანობაში სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების შედეგებთან და გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციასა და მხარდაჭერას. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტები კმაყოფილები არიან ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საქმიანობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;

<ul style="list-style-type: none"> ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○
შეფასება <ul style="list-style-type: none"> ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. <ul style="list-style-type: none"> ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> ○
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

<ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<p>4.1 ადამიანური რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე,

სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 53 პერსონალი, მათ შორის 21 აკადემიური და 32 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსონალის რეზიუმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი აკადემიური პერსონალი ნაკლებად არის ფოკუსირებული სამეცნიერო საქმიანობაზე. აღნიშნული მოსაზრება ასახულია კიდევ უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტშიც. აღსანიშნავია, რომ მოწვეულ პერსონალს აქვს დარგის შესაბამისი მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება. ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ქმედითი ნაბიჯები გადადგა, რათა აკადემიურ პერსონალს შეუქმნას უფრო მეტი სტიმული და მოტივაცია მისცეს, რომ აქცენტი გააკეთონ სამეცნიერო საქმიანობაზე. აქედან გამომდინარე შეიცვალა მათთან სახელშეკრულებო პირობებიც.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი, რის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს მრავალწლიანი აკადემიური საქმიანობის გამოცდილება და უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის თანახელმძღვანელი არის ამავდროულად ბიზნესის სკოლის დეკანი და მასაც აქვს აკადემიური საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების ნაწილში ისიც აქტიურად არის ჩართული და მხარს უჭერს პროგრამის ხელმძღვანელს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 4 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტებს მოემსახურებიან ადმინისტრაციული მენეჯერები. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური პროგრამის ქართული სექტორის სტუდენტებმაც დაადასტურეს რომ უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამის განხორციელებისას ადმინისტრაციული კუთხით შეფერხებები არ აღინიშნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გაამლიეროს აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>○</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>○</p>
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p>
<ul style="list-style-type: none"> დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>უსდ-ს ადმინისტრაცია სემესტრულად აწარმოებს სტუნდენტების გამოკითხვას, სადაც ისინი აფასებენ თავიანთ ლექტორებს. პროგრამის აკადემიური მენეჯერი აანალიზებს მიღებულ შედეგებს და შემდეგ უკვე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ხდება ჯამური შედეგების გაზიარება. სტუნდენტებმა ინტერვიუს დროს გაიხსენეს შემთხვევები, როცა მათი მოსაზრებები გაუთვალისწინებია უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.</p> <p>ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ პერსონალის შესაფასებლად უსდ იყენებს ლექციებზე კოლეგიალურ დასწრებასა და შესაბამისი უკუკავშირის გაზიარებას ლექტორებთან.</p>

<p>უსდ ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერაზე. სთავაზობს სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს სწავლების უნარების განვითარების, დისტანციური სწავლების განხორციელების, პლაგიატის აღმოჩენის თუ სამეცნიერო ჟურნალში სტატიების გამოქვეყნების შესახებ.</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელებმა და აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნეს, რომ უსდ-ს მხარდაჭერით ხორციელდება ქართული კომპანიების გამოცდილებაზე დაფუძნებული ბიზნეს ქეისების მომზადება, რომელიც ხორციელდება აკადემიური პერსონალის მხარდაჭერით.</p> <p>უსდ-ს ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ მათ შეიმუშავეს პერსონალთან ხელშეკრულების რამდენიმე ტიპი, რომლის მიზანიც არის მათი სამეცნიერო საქმიანობის წახალისება და მხარდაჭერა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ ხარისხის მართვის სამსახურთან; ○ პროგრამის ბიუჯეტი
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გაგვიზიარა ლინკი, საიდანაც ონლაინ დავათვალიერეთ უნივერსიტეტის შენობა, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, საერთო სამუშაო სივრცეები. ინფრასტრუქტურა სრულად აკმაყოფილებს სტუდენტების საჭიროებებს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომები საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე. ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ პერიოდულ ბიზნეს გამოცემებს იღებდა ბიბლიოთეკა პანდემიამდე და ახლა ეს არ ხდება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში ○ მატერიალური სასწავლო რესურსების დათვალიერება ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</p>
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც წარმოდგენილია პროგრამის დაფინანსების წყაროები და პროგრამის განხორციელების ხარჯები. რექტორთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ უცხოელი სტუდენტების საქართველოში სასწავლებლად მოზიდვა უნივერსიტეტის სტრატეგიული გადაწყვეტილებაა და საჭიროების შემთხვევაში უსდ ამ პროგრამას სარეზერვო ფონდიდანაც დააფინანსებს. ასევე ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სტუდენტების მოზიდვის მიზნით უნივერსიტეტს შერჩეული ყავს სტრატეგიული პარტნიორები და მათ შორის თანამშრომლობს უცხოეთის ბაზარზე მოქმედ სააგენტოებთანაც, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პროგრამისთვის სტუდენტების მოზიდვას და ეს აქტივობა უსდ-ს ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. ვინაიდან პროგრამა ძირითადად ფოკუსირებულია უცხოელ სტუდენტებზე, მისი ფინანსური მდგრადობის შეფასების მიზნით უმჯობესია პროგრამის ბიუჯეტში ასახული იყოს სტუდენტების მოზიდვასთან დაკავშირებული მარკეტინგული აქტივობებისა თუ სააგენტოს მომსახურების ხარჯები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში ○ უსდ-ს ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები ○ პროგრამის ბიუჯეტი
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p> <p>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა აკრედიტაციისთვის წარმოდგენილია პირველად, თუმცა უსდ-ში ფუნქციონირებს ბიზნესის ადმინისტრირების ქართულენოვანი პროგრამა. ამიტომ აკრედიტაციის ექსპერტებმა მხედველობაში მიიღეს ქართულენოვანი პროგრამაში და ზოგადად უსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფუნქციონირების შედეგებიც.</p> <p>უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც შემუშავებულია და ხორციელდება "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე" ციკლის საფუძველზე. სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვის ხარისხის მდგრადი განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ითვალისწინებს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსების, პროცესისა და შედეგების შეფასების ინდიკატორებს, რომლის შეფასება, ხორციელდება თანმიმდევრულად შესაბამისი სასწავლო ციკლის საფუძველზე.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შემუშავებულია სამი მიმართულებით, როგორცაა ა) სწავლა-სწავლება , ბ) კვლევა და გ) მართვა/მენეჯმენტი.</p>

აკრედიტაციის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი; კავკასიის უნივერსიტეტის დებულება; შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი; პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები; ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წლიური (2019-2020 სწ.) ანგარიში ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები 2020; დამსაქმებელთა კვლევა 2020; პერსონალის შეფასება 2020; პერსონალის შეფასება და კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები 2019; პერსონალის შეფასების და კმაყოფილების შედეგების ანალიზი 2019; სტუდენტების და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევა 2020; რომელთა საფუძველზე დასტურდება, რომ კავკასიის უნივერსიტეტში არსებობს ხარისხის შეფასების გამართული მექანიზმები.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის სამუშაო გუნდში ჩართული იყო როგორც აკადემიური ასევე ადმინისტრაციული პერსონალი და მათ გადანაწილებული ქონდათ შესაბამისი ფუნქციები და პასუხისმგებლობები. შესაბამისად, ანგარიშის მომზადების პროცესში გამოიკვეთა პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, რომლის დახვეწასა და განვითარებაზეც პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი გამოხატავს სრულ მზაობას.

თუმცა, პროგრამის მასალებში გამოვლენილი ხარვეზების გამო, როგორცაა სილაბუსებში ლიტერატურის წლების არ მითითება, მომველებული ლიტერატურა, სწავლის შედეგების ფორმულირება და შეფასების სისტემა, ვფიქრობთ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა გაამდიდროს თანამშრომლობა პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიური პერსონალთან მსგავსი ხარვეზების აღრმოფხვრის მიზნით.

ინტერვიუს პროცესში სტუდენტებმა, პროგრამის აკადემიურმა თუ მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურეს, რომ მუდმივად ჩართულები არიან სხვადასხვა ხარისხის გაუმჯობესების აქტივობებში. ავსებენ სხვადასხვა ურთიერთშეფასების კითხვებს და შედეგებს იყენებენ საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისური ენოვანი საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- სტუდენტთა გამოკითხვის ფორმა და შედეგები;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების წესი
- კავკასიის უნივერსიტეტის დებულება;

- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წლიური (2019-2020 სწ.) ანგარიში;
- ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები 2020;
- დამსაქმებელთა კვლევა 2020;
- პერსონალის შეფასება 2020;
- პერსონალის შეფასება და კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები 2019;
- პერსონალის შეფასების და კმაყოფილების შედეგების ანალიზი- 2019;
- სტუდენტების და კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევა 2020.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გაძლიერდეს აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა აკრედიტაციისთვის წარმოდგენილია პირველად, შესაბამისად პროგრამა შემუშავებისთანავე შეტანილი იქნა აკრედიტაციისთვის და გარე შეფასებისთვის გადაეგზავნათ Leeds-ის უნივერსიტეტის პროფესორი, დეკანის მოადგილე ედგა მეიერი. და გრენობლის ასოცირებული დეკანი, საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამების დირექტორი მარკ ტომასი და MBA პროგრამების დირექტორი ფილ იერი. გარე შეფასების ექსპერტები ზოგადად დადებითად აფასებენ პროგრამას.</p> <p>ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და უსდ-ს ადმინისტრაცია მზად არიან, გარე შეფასების ყველა მნიშვნელოვანი რჩევა და რეკომენდაცია გაითვალისწინონ. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ უსდ-ს აქვს შესაბამისი პროცედურები გარე ხარისხის შეფასებისთვის და მას იყენებენ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გარე ხარისხის შეფასების შედეგები; ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური,

<p>სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>პროგრამის განხორციელებისას, მონიტორინგი, დაკვირვება და უკუკავშირის მიღება ხდება პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარისგან. უსდ-ს ხარისხის დეპარტამენტის ანალიზებს სტუდენტების სწავლის შედეგებს, აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს და ადარებს მათ შესაბამის სამიზნე ნიშნულებს. სემესტრულად ახორციელებს სტუდენტების ნებაყოფლობით გამოკითხვას. ინტერვიუს დროს გამოვკითხეთ ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტები, მათ დადასტურეს, რომ ინტენსიურად იღებენ მონაწილეობას გამოკითხვებში. აქედან გამომდინარე უსდ ინტენსიურად იღებს უკუკავშირის სტუდენტებისგან, პროგრამის და პროცესის გაუმჯობესებისთვის.</p> <p>მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ ისინი ხშირად იღებენ უკუკავშირის მათი შეფასების შესახებ, და როგორც უსდ-ს ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს მათ აქვთ პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასების რამდენიმე მექანიზმი, მათ შორის სტუდენტების ელექტრონულ კითხვარებს. ასევე პროგრამის ხელმძღვანელი წარუდგენს ანგარიშს ხარისხის მართვის სამსახურს.</p> <p>ხარისხის შეფასების სხვადასხვა დოკუმენტებთან ერთად უსდ-ს აქვს შემუშავებული „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა“ და „კავკასიის უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა“. თუმცა შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები უმეტესწილად გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პერსონალის შეფასების ფორმა ○ სტუდენტების გამოკითხვის ფორმა ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ○ დაინტერესებული მხარეების კვლევა (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, შრომის ბაზრის) ○ ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

○

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35


პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით სიხარულიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მერაბ ხოხობაია



სახელი, გვარი, ხელმოწერა დავით ქარცივაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა ნიკა გიგაური